სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

24 / ოქტომბერი / 2023 წ.

KA020181658389523

№ **22/9015**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციულ ერთეულში, 216120 ტონა თაბაშირის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 57203/119594).

ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 216120 ტონას, წელიწადში საშუალოდ 10806 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 10806 ტონაზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 1250-1300 მ. სიმაღლეზე, ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციულ ერთეულში.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე. ამასთან, არ ხვდება დაცული ტერიტორიების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე